ივერია

№ 19, 1989 წლის 27 დეკემბერი

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა,
მე ვარო შენი თანამდევი უკვდავი სული!“

ილია ჭავჭავაძე

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება · მშვიდობა საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთო, მამული უცოცხლე!

"ნუ გეშინია მათგან, რომელთა მოგწყვიდნენ ხორცნი თქუენნი, ხოლო სულისა ვერ შემძლებელ არიან მოწყუედად."

როგორ გვეძნელება ამ სტრიქონების წერა! როგორ აღარ გვეგონა, რომ ასე გაგვიხდებოდა საქმე შენგანვე აღორძინებულ "ივერიაში". მაინც რა საშინელი დარტყმა მიიღო ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ და მთელმა ეროვნულმა მოძრაობამ წელს! შენც 1989-მ გიმსხვერპლა - აპრილში წასულებთან, შენს ვოვა ვეკუასთან, მერაბ კოსტავასთან, სოსო ადამიასთან ერთად შეუერთდი მარადისობას.

ზურაბ, შენ დააყენე ფეხზე ილია ჭავჭავაძის საზოგადოება და შთაბერე მას ჭავჭავაძისეული სული! - განა ეს შემთხვევითი იყო? არ არსებობდა სფერო ქართველი ერის ცხოვრებისა თუ ჩვენი საზოგადოების ჭირ-ვარამისა, რომ შენი მართალი, ძლიერი და შემომქმედი სიტყვა არ გეთქვა. შეუძლებელი შესძელი და შენი თავდადებით უდიდესი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურე. ერის სატკივარი გაითავისე და როგორ შეიძლებოდა განსაცდელში მყოფი მშობელი ერის პატრონი კარგად ყოფილიყავი! საკუთარი ერის სიყვარულიცა და ტკივილიც შენში გამორჩეულად იყო ჩაპროგრამებული. საკვირველია, როგორ უძლებდი უზარმაზარ ფიზიკურ და გონებრივ დატვირთვას უამრავ სიძნელეებთან ერთად ისე, რომ მაინც დარჩენილიყავი მზრუნველი და მოსიყვარულე შვილი, მეუღლე და მეგობარი? ასეთი იყავი შენ... ათას დახლართულ გზათა შორის მუდამ ერთადერს, **მართალ გზას გამოარჩევდი და პირველი თავად გაივლიდი ხოლმე მასზე. დიახ, ზურაბს ეს შეეძლო, იგი შეგუებული იყო მართალი და ძნელი გზით სიარულს.** ამიტომ იყო იგი ილია ჭავჭავაძის სახელის მატარებელი საზოგადოების სულისჩამდგმელი. იმ წმინდა ადამიანის სახელის ქვეშ გაერთიანებული საზოგადოებისა, რომელსაც, სამწუხაროდ, იმხანად ვერ გაუგო გზააბნეულმა ერმა და გზად ეკალი თუ ტყვია დაუფინა. ვინა **თქვა, რომ** ქართველი ერი XX საუკუნის მიწურულში უკეთეს დღეშია, ვიდრე მის დასაწყისში? შენც ხომ სწორედ იმისთვის იბრძოდი, ზურაბ, რომ საუკუნის დასაწყისში დაშვებული შეცდომები აღარ განმეორებულიყო. შენზე უკეთ ვინ იცოდა, რომ დემოკრატიული განვითარების გზა ძაღლი რთული და ნაბიჯ-ნაბიჯ სავალია? შენ აღარ გსურდა გეხილა ისტორიული უგუნურების გამარჯვება ისტორიულ გონზე!

შენი უდიდესი ხიბლისა და ზებუნებრივი კეთილშობილების ქვეშ მოქცეული ადამიანი ვერც კი აცნობიერებდა, თუ როგორ ექცეოდა შენი შემწეობით ილია ჭავჭავაძის მძლავრი თავდადებისა და სიყვარულის იმპულსის ქვეშ. ხანმოკლე გამოდგა შენი ამქვეყნიური ცხოვრება, მაგრამ უკვე ყველა შესანიშნავად ხედებოდა, რომ ქართველ ერს მართალ გზაზე გამყვანი დიდებული წინამძღოლი ეყოლებოდა, ვი რომ ყველა ხვდებოდა და ხედავდა იმ სისტემაში, სადაც ჯერ-ჯერობით ბოროტი სჯარბობს კეთილს.

შენ რეალისტი პოლიტიკოსი იყავი, ზურაბ! ამ ორი ცნების ერთად ხმარება ფრიად უხერხულია, რადგან პოლიტიკა თავისთავად რეალურსაც უნდა გულისხმობდეს, სხვაგვარად ადამიანთა საქმიანობის ეს სფერო ჩვეულებრივად ავანტიურისა და ბოროტების ბუდედ იქცევა ხოლმე. შენ კარგად იცოდი, რომ პოლიტიკოსის მიზნები სუბიექტურ სურვილებს კი არ უნდა ექვემდებარებოდეს, არამედ ობიექტურ შესაძლებლობებს. ამდენად, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას შენი სახით მოაკლდა ყველაზე უტყუარი განმსაზღვრელი პოლიტიკური ვითარებისა. მერაბ კოსტავა - გულთამხილველი ერისა და ზურაბ ჭავჭავაძე - მკურნალი მისი. აი, რა დააკლდა საქართველოს თქვენ წასვლით. თქვენ ხომ ძაღზე გიყვარდათ და აფასებდით ერთმანეთს. ამასთან, შესანიშნავად არჩევდით კეთილმოსავობით შენილბულ ბოროტებას რეალური სიკეთისაგან - სწორედ ეს ედებოდა მაღალმოდ ტანჯულ ერს. ეხლა რაღა ვქნათ უთქვენოდ?

ზურაბ, როგორ ოცნებობდი და შენატროდი თავისუფალ სამშობლოს! უნდა გაერთიანდეს მთელი ქართველობა თავისუფლებისათვის ბრძოლის მართალი დროშის ქვეშ. იმისათვის, რომ შენმა ანგელოსმა შვილებმა - ეკამ, ნინომ, ქეთევანმა და მთელმა მომავალმა საქართველომ ბედნიერ სამშობლოში იცხოვრონ. ვაი, რა მძიმედ მოდის სიტყვა და აზრი მწუხარების ჟამს. ვაი, რომ გემშვიდობებით უდროოდ შუა გზაზე მომავლის ბურუსით გარემოცულები, რომელშიც მაინც გამოკრთის საქართველოს დიდების ნათელი, რისთვისაც შენ ცოცხლობდი.

რამდენი იღვაწე, როგორ გიხაროდა ყვარელში იოანე ნათლისმცემლის ჭავჭავაძეთა საგვარეულო ეკლესიის აღდგენა და მშობლიური მხარის კვლავ ქრისტიანობისკენ შემობრუნება. ამბობენ, რომ თავად ჭავჭავაძეთა წინაპრები ფშავიდან დამკვიდრებულან ყვარელს. მათ გარში ჩამოუტანიათ გმირული შემართება, თავისუფლებისმოყვარეობა და პოეზიის თვითნაბადი საგანძური. ამ საგვარეულოს, სამშობლოს წინაშე დაუღალავი ბრძოლითა და შრომით თავადობა მოუპოვებია. შენც შენს წინაპართა საგვარეულო განსასვენებელში დაიმკვიდრებ სამუდამო ბინას და ისევე, როგორც შენ ამაყობდი სახელოვანი წინაპრებით, მათაც თავისუფლად შეუძლიათ იამაყონ შენით - შთამომავლით, რომელიც სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაიფერფლა. მოგვიტევე, ძმაო, ვერ შევძელით ბოროტის მახვილისაგან შენი დაცვა.

შეავედრე ღმერთს - შენი საყვარელი სამშობლო და შენი მრავალტანჯული ერი. მამაზეციერმა აცხოვნოს შენი ნათელი სული, ძმაო ზურაბ!

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების
გამგეობის სახელით

კახაბერ კახაძე

"მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია ძირფესვიანად ეწინააღმდეგება ილია ჭავჭავაძის მოძღვრებას, ერთადერთ მისაღებ მოძღვრებას ქართველი ერისათვის. მარქსიზმ-ლენინიზმი ნერგავს ათეიზმს, აქედან გამომდინარე ყოველგვარი დამღუპველი შედეგებით, იგნორირებას უწევს ისეთ წმინდა ცნებებს, როგორიცაა ზნეობა, ერი, სამშობლო; ქადაგებს კლასობრივ ბრძოლას, ესე იგი თესავს მტრობას სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის. კერძოდ, კლასობრივი ბრძოლის შესახებ ილია ჭავჭავაძე წერდა, რომ მოწოდება კლასობრივი ბრძოლისაკენ, ეს არის მოწოდება ძაღადობისაკენ, ძმათაშორის სისხლისღვრისაკენ.

პრაქტიკაში მარქსიზმ-ლენინიზმს მივყავართ აურაცხელი ადამიანური ტანჯვისაკენ, რომელსაც ხან "პიროვნების კულტს" არქმევენ, ხან "კულტურულ რევოლუციას", ხან "უძრაობის პერიოდს". მარქსიზმ-ლენინიზმს მოკლედ ასე დავახასიათებდი: ეს არის უტოპიური მოძღვრება, რომელიც სულზე მაღლა აყენებს ხორცს, აჰყავს ეკონომიკა სარწმუნოების რანგში, ძაღლზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს რეალურ ეკონომიკურ კანონებზე და გააჩნია მეჯისმეჯად საეკვო, უკაცრავად პასუხია, ზნეობრივი პრინციპები."

. . .

"ილია ჭავჭავაძის იდეები უკვდავია, ვინაიდან ის გვიქადაგებს ისეთ წარუვალ ღირებულებებს, როგორიცაა ღმერთისა და მოყვასის სიყვარული, ზნეობა, პიროვნული და ეროვნული თავისუფლება, სიკეთე, სამართლიანობა, პატრიოტიზმი, ჰუმანიზმი. ამიტომ ისინი აქტუალურნი არიან ყოველთვის და არა მარტო ახლანდელ პოლიტიკურ სიტუაციაში. მე ხშირად ვაძლევ ინტერვიუს დასავლეთის კორესპონდენტებს, რომლებმაც უმეტეს შემთხვევაში ძაღზე ცოტა რამ იციან ილია ჭავჭავაძეზე და აინტერესებთ, რატომ ატარებს ჩვენი საზოგადოება მის სახელს. მე ვუხსნი მათ, რომ ქართველი ადამიანის შეგნებაში ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა უშუალოდ არის დაკავშირებული ილია ჭავჭავაძის სახელთან. "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყოფნოდეს" - ილია ჭავჭავაძის ეს მოწოდება, დღეს, უეჭველად, ყველაზე აქტუალურია."

ზურაბ ჭავჭავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცრემლით და ლოცვით

კიდევ ერთი უბედურება დაგვატყდა თავს, კიდევ ერთი სიცოცხლე წაილო ამ ავადსახსენებელმა 1989 წელმა, კიდევ ერთხელ მოგვაყენა ტკივილი. თითქოს რაღაც აუხსნელი, ზებუნებრივი ბორტი ძალა მოქმედებს, თითქოს რაიმე ცოდვა გვაწევს ქართველებს 9 აპრილიდან მოყოლებული ხეირიანად გაღიმებასაც ვერ ვასწრებთ და ისევ გლვა და ცრემლი; თან სულ რჩეული, წმინდა ხალხი, ადამიანები, ვინც ეროვნული მოძრაობისთვის იყვნენ გაჩენილი და ვინც ღირსი იყო ეროვნული საქმე ეკეთებინა – ჯერ ვოვა ვეკუა, შემდეგ მერაბ კოსტავა და სოსო ადამია, ახლა კი შენ – ზურაბ!

როგორ გვეგონა, რომ შენ მაინც გადარჩებოდი, შენ მაინც გაუმკლავდებოდი სიკვდილს; შენი სიდინჯე და სიცოცხლის სიყვარული ძლევდა ტრავმას და კვლავ ფეხზე წამოდგებოდი, კვლავ საქმეში ჩაებმებოდი... იმედგადაწურულებს ძღივს იქნა იმედი გაგვიჩნდა, ძღივს იქნა ვირწმუნეთ, რომ ყველაფერი მოგვარდა და სწორედ მაშინ გამოგვეცალე ხელიდან.

სულ რაღაც ორი წელი ვიყავით ერთად, ერთად ვაკეთებდით ჩვენს საერთო საქმეს, თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს და ბევრიც გადავიტანეთ, ბევრიც გამოვიარეთ, სიხარულიც იყო და მწუხარებაც, გამარჯვებაც იყო და მარცხიც, მაგრამ საყვედური და გულგრილობა არა! ვიცოდით, რასაც ვაკეთებდით, წრფელი გულით და სინდისით ვაკეთებდით, იქნებ ყველაფერი ისე არ გამოგვდიოდა, როგორც გვინდოდა, იქნებ ხანდახან ვცდებოდით კიდეც, მაგრამ არა გაბოროტების, არა წინდაუხედაობის, არა აჩქარების მიზეზით, არამედ უფრო იმიტომ, რომ ეს იყო დასაწყისი, არც გამოცდილება გვქონდა და არც საშუალება მშვიდად მოქმედებისა, იქნებ იმიტომაც, რომ ჩვენს და, საერთოდ, ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ მოქმედებდა და სამწუხაროდ დღესაც მოქმედებს კარგად ორგანიზებული, ფინანსურად და ტექნიკურად აღჭურვილი არაკეთილსინდისიერი ძალები.

ის ორი წელი უკვე ისტორიის საკუთრებაა. ჩვენდა სამწუხაროდ ისტორიის საკუთრება გახდი შენც, თუმცა კი ნაადრევი იყო ეს შენთვის, ჯერ კიდევ ბევრი შეგეძლო გაგეკეთებინა, ბევრი სიხარული მოგეტანა. ჯერ კიდევ დიდხანს უნდა გებრძოლა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, რადგან შენ იმ ადამიანთა კატეგორიას ეკუთვნოდი, რომლებიც უკან არ იხევენ და რომლებიც კაცურად მიდიან დასახული მიზნისაკენ. მაგრამ ასე ინება განგებამ. რატომ და რისთვის, ეს კაცთა გონებისათვის მიუწვდომელია, ერთი კი ცხადია – ისტორია ყველას თავის ადგილს მიუჩენს, ყველაფერს მოაწესრიგებს და მათ შორის, ვინც საქართველოს ბედნიერებისათვის იბრძოდა და იბრძვის, შენც დაიმკვიდრებ ღირსეულ ადგილს.

ჩვენ კი, შენს თანამებრძოლებს და მეგობრებს ისღა დაგვრჩენია, ცრემლით და ლოცვით შევავედროთ შენი სული უფალს, შევთხოვოთ, რომ აკმაროს საქართველოს და ჩვენს ეროვნულ მოძრაობას ის დანაკლისი, რაც განვიცადეთ და მოგვცეს ძალა, რომ კვლავ ვიბრძოლთ ჩვენი მამულის გადარჩენისა და თავისუფლებისათვის.

გვჯერა, ამას იტყოდი შენც!

მსუბუქი იყოს შენთვის მიწა ქართული.

ვახტანგ ძაბირაძე
ტარიელ ღვინიაშვილი

ჩემო სულიერო მეგობარო

შენ მძიმე ჯვარის ტარება იტვირთე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რაც გოლგოთას გზაზე მიმავალი წამებულის ხვედრია. შენი ყოველდღიური ცხოვრება უზარმაზარი მასის მქონე დაჭრილებულ ბორბალსა ჰგავდა, რომლის შეჩერება შეუძლებელია, და მართლაც, ყოველგვარი წინააღმდეგობის დროს შენთვის ჩვეული მშვიდი განსჯისა და მორალური კატეგორიით სავსე გადაწყვეტის გზებს პოულობდი.

რა სასიამოვნო იყო შენს გვერდით მუშაობა, უკომპრომისო ბრძოლა ყოველგვარი უმსგავსოების წინააღმდეგ და გამარჯვების შემთხვევაში ნეტარი სიამოვნება. მხოლოდ ტრაგიკულ შემთხვევას შეეძლო შენი დაუკეტელი ფიზიკური ენერგიის ჩაქრობა, მაგრამ ეს ენერგია ხომ სულიერ ენერგიაში გადავიდა და ჩვენ შენს მეგობრებს, თანამებრძოლებს გვჯერა, რომ ეს სულიერი ძალა ჩვენში განიფინება იმ ნათელი სურვილების აღსასრულებლად, რასაც საქართველოს თავისუფლება ჰქვია.

ჩემო ზურა, ჩვენ კვლავ სულიერ მეგობრებად ვრჩებით და ვიცით, რომ ეს მეგობრობა არანაკლებ ძლიერია. ვეედრები უფალს, ღირსეულთა შორის განგიწესოს საუფლო, რამეთუ ბაღი შენი ერის მიმართ განუზომელია.

რაულ კუპრავა

ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო!

რამდენი მიზნები და გეგმები გქონდა ჩაფიქრებული შენი ერის საკეთილდღეოდ, ზურა!.. აღასრულებდი კიდეც ყველაფერს, ძალაც შეგწევდა ამისათვის, და ისიც იცოდი, რომ სანთელ-საკმეველი, ბოლოს და ბოლოს, თავის გზას არ დაკარგავდა...

შენ შენი დიდი წინაპრის, შენი სულიერი და ხორციელი ნათესავის, დიდი ილიას გზით მიდიოდი. აღბათ ამიტომაც გერგო ილიას ხვედრი – პატივისა და დიდების ნაცვლად ღვარძლი და ცილისწამება. და, შესაძლოა, აღსასრულიც მისებური გრგებოდა, მაგრამ უფალმა ინება და ამჯერად ააცილა საქართველოს ეს დიდი სირცხვილი... (თუმცა საკითხავია, – ააცილა კი?..)

ვინ არა კვდება, ზურა, მაგრამ შენი სიკვდილი საოცარი უსამართლობაა. მერაბ კოსტავას დაღუპვით გამოწვეული ელდა იმან შეგვიმსუბუქა, რომ იგი საყოველთაო სიყვარულით შემოსილი წავიდა ამქვეყნიდან. შენ კი, შენ – უსამართლოდ სიცოცხლეგამწარებული, ნერვებდაწყვეტილი მიდიხარ. ყველაზე მტკივნეული ამის გააზრებაა, ზურა!..

ვაი რომ, ეროვნული მოღვაწეობა და, ამასთან, სიმართლის მსახურება ყველაზე ძნელი, ყველაზე ნარეკლიანი გზა ყოფილა საქართველოში. შენ სწორედ ამ გზას დაადექი, შეუპოვრად, უშიშრად, თავგანწირულად, – როგორც შეგფეროდა ჭავჭავაძეების დიდი გვარის შთამომავალს; როგორც შეგფეროდა შენი გაუტეხელი, ძვირფასი მამის შვილს.

ოთხიოდე თვის წინ შენს საყვარელ ყვარელში წამიყვანე. იმ დღეს მორიგი უსიამოვნება გქონდა გადატანილი... გზაში მითხარი, – ო, რა ბედნიერი ვარ ახლა, ამ წუთში, ყვარელში რომ მივდივარო...

ახლაც ყვარელში მიდიხარ, მაგრამ უკვე უკანასკნელად. შენი საგვარეულო ეკლესიის წმინდა საფლავების გვერდით გაითხარა შენი თბილი საფლავი... შენი დიდებული წინაპრების გვერდით მოისვენებს შენი კეთილშობილი გული...

მშვიდობით, ზურა, ჩვენო სათაყვანებელო მეგობარო და წინამძღოლო, ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო.

ანზორ აბჟანდაძე

თავდადებულ შვილთა ეროვნული

არ ინება განგებამ სიკვდილის ბრჭყალებიდან შენი გამოხსნა. არადა, როგორ ვიმედოვნებდით, რომ კვლავ დაგვიბრუნდებოდი. დაგვიბრუნდებოდი შენი დარბაისლობით, აწონილი სიტყვით, თვალებში ჩამდგარი მოკიაფე ნათელით.

ეროვნულ საქმეებზე თავგადადებულს პიროვნულზე არ გიფიქრია. რუდუნებითა და დიდსულოვნად ეწეოდი ერისკაცის მძიმე ტვირთს.

მძიმეა შენი უდროო წასვლით გამოწვეული მწუხარება. მერაბთან მიხვალ, მეგობართან, ვინც გზას გაგიკვალავს იქ, ისევე, როგორც ერთად უკვალავდით გზას 9 აპრილის ღამეს ნიჩბებმომარჯვებულ კაცისმკვლელებში უდანაშაულო, განწირულ ადამიანებს...

ისტორია მკაცრია და სამართლიანი. გავა დრო და თავისუფალი საქართველო თავდადებულ შვილთა შორის კუთვნილ ადგილს მოგიჩენს.

მშვიდობით ჩვენო სახელოვანო მამულიშვილო, ერთგულო და საყვარელო მეგობარო. მარადიული იქნება ხსენება შენი!

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების
ზუგდიდის განყოფილება



საით მიიჩქაროდი, ძმაო

შენ ყველაზე მეტად მამული გიყვარდა. შენი ყოველდღიური ფიქრი და ოცნება თავისუფალი საქართველო იყო. მხოლოდ ამ რწმენით ცხოვრობდი და ეზიდებოდი იმ მძიმე ტვირთს, რომელიც განგებამ გარგუნა. ამიტომაც მოძრაობდი ასე დაულაღავად კახეთსა და აფხაზეთში, სამეგრელოსა და სვანეთში. იმ საბედისწერო დღესაც სიცხიანი გასულხარ სახლიდან... საით მიიჩქაროდი, ძმაო!..

ძნელია ყოველივე ამას შეეგუო და ბოლომდე გაიაზრო. ჯერ იყო და ჩვენი საამაყო და ძვირფასი ვოვა ვეკუა გამოგვაცალეს ხელიდან, მერე ყველასათვის საათაყვანო მერაბ კოსტავა დაგვეღუპა იმ საბედისწერო დღეს, სულ ახლახან კი სოსო ადამიაც დავკარგეთ...

როგორი იმედი გვქონდა, რომ მთლად არ გაგვწირავდა განგება და გადაგვირჩებოდი. მაგრამ ვაი რომ სიკვდილსაც კარგები მიჰყავს!..

რა ჰქნას შენმა საფიცარმა საქართველომ, რამდენ ცრემლსა და ტანჯვას გაუძღოს! რით ვანუგეშოთ შენი დაობღებული ოჯახი, გამწარებული დედ-მამა! როგორ შეეგუონ უშენობას შენი მეგობრები!

შენი სანთელი წაღენჯიხის მაცხოვრის ტაძარში მუდამ იღიცლიცებს ღვთისმშობლის ფრესკასთან, იმ შანდალზე, შენ და ვოვა რომ სანთლებს ანთებდით უკანასკნელად ყოფნის დროს.

მშვიდობით, ძმაო, მწარე ტკივილო და ნაღვლო! ღმერთი იყოს შენი მფარველი ზეციურ საქართველოში!

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების
წაღენჯიხის განყოფილების სახელით

მარინე შანავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ



საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა მისი ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრი ზურაბ ჭავჭავაძე.

ზურაბ ჭავჭავაძე დაიბადა 1953 წელს თბილისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი. 1979 წელს რელიგიური შეხედულებებისათვის გარიცხეს კომკავშირიდან. მუშაობდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ ფიზიკური და ორგანული ქიმიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1979 წლიდან იგი იყო პირადი მდივანი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ისა.

1981 წელს მუშაობა დაიწყო სამეცნიერო თარგმანის კოლეგიის რედაქტორად.

1984 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანის მთავარი სარედაქციო კოლეგიის სამეცნიერო ლიტერატურის განყოფილების გამგედ.

1986 წელს, მას შემდეგ, რაც ექსტერნად ჩააბარა ქართული ლიტერატურის ისტორიის საუნივერსიტეტო კურსი, მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "XII საუკუნის ქართული ჰიმნოგრაფია".

1989 წლის 13 ოქტომბერს სოფ. ბორითთან მომხდარ ავტოკატასტროფაში, რის დროსაც დაიღუპა საქართველოს ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა, ზურაბ ჭავჭავაძემ მიიღო სხეულის უმძიმესი დაზიანება. მკურნალობის შედეგად, რომელიც უტარდებოდა თბილისის ნერვოლოგიურ ინსტიტუტში, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ნელა, მაგრამ დღითიდღე უმჯობესდებოდა. მდგომარეობა საბედისწეროდ გაართულა მოულოდნელად შეყრილმა ბოტკინის დაავადებამ. ძნელი სათქმელია, რა იყო ამის მიზეზი, საბჭოთა სისტემაში ყველგან გამეფებული დანაწაულებრივი დაუდევრობა, თუ სხვა რამ...

ზურაბ ჭავჭავაძე გარდაიცვალა 1989 წლის 21 დეკემბერს, ავტოკატასტროფიდან 69-ე დღეს...

ზურაბ ჭავჭავაძე წლების განმავლობაში იღებდა მონაწილეობას ეროვნულ და სამართალდაცვით საქმიანობაში. არ დარჩენილა არცერთი ეროვნული სატკივარი, რომელიც მისი ინტერესების სფეროში არ შესულა და პრაქტიკულ საქმიანობაში არ გამომჟღავნებულა.

ზურაბ ჭავჭავაძის მოღვაწეობა განსაკუთრებული ინტენსივობით დაიწყო მას შემდეგ, რაც იგი ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში შევიდა და მისი გამგეობის წევრი გახდა. იგი მისთვის დამახასიათებელი დიდი აქტიურობით, გაბედულებით და გონიერებით მოქმედებდა ეროვნული მოძრაობის ყველა ფრონტზე, იქნებოდა ეს ეროვნებათშორისი ურთიერთობანი, დემოგრაფიული, ეკოლოგიური, კულტურის ძეგლთა დაცვის თუ სხვა პრობლემები, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე აუცილებელ გადაჭრას საჭიროებდნენ. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი კონცეფცია და პრაქტიკული საქმიანობა ეროვნებათშორისი ურთიერთობის მოწესრიგების საკითხში, რაც საქართველოს სინამდვილეში უაღრესად აქტუალურია. მის კონცეფციას საფუძვლად ედო ტრადიციული ქართული ჰუმანიზმი და სამართლიანობა სხვა ეროვნების ხალხებთან ურთიერთობაში, ამასთან, ეთნოკონფლიქტების წარმომშობი მექანიზმის ათვლნობა და მისი უვნებელყოფა მშვიდობიანი საშუალებებით. ამ კონცეფციას, უეჭველად, უფრო და უფრო მეტი მიმდევარი გამოუჩნდება, რაც კავკასიელ ხალხთა ერთიანობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის საწინდარი უნდა გახდეს.

ზურაბ ჭავჭავაძე უებრად ფლობდა ადამიანებთან ურთიერთობის ურთულეს ხელოვნებას, იქნებოდნენ ისინი ჩვეულებრივი ნაცნობ-მეგობრები, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები უცხოელები, ოფიციალური პირები თუ უცხოეთის დიპლომატიური წარმომადგენლები. ყველა იხიბლებოდა მისი ჯანსაღი, დარბაისლური, ოსტატური პოლემიკის უნარით, მიუხედავად იმისა, ეთანხმებოდნენ თუ არა.

ზურაბ ჭავჭავაძის პრაქტიკულ საქმიანობას საფუძვლად ედო ქრისტიანული ზნეობრიობის პრინციპი. იგი პოლიტიკურ ბრძოლაში დაუშვებლად თვლიდა არაზნეობრივი მეთოდების გამოყენებას. იგი მთელი ენერგიით ილწვოდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში დემოკრატიული პრინციპების დასამკვიდრებლად.

ზურაბ ჭავჭავაძე დღითიდღე იზრდებოდა, როგორც პოლიტიკოსი, და შეუდარებლად მეტსაც გააკეთებდა ერის საკეთილდღეოდ, რომ დასცლოდა (ან დაეცლიათ!). საქართველომ დაჰკარგა დიდი პოტენციის მქონე ეროვნული მოღვაწე, კეთილშობილი პიროვნება და ბრწყინვალე მამულიშვილი.

• • •

უფრო სრულად ზურაბ ჭავჭავაძის მოღვაწეობის შესახებ გამოქვეყნდება ჩვენი გამოცემების შემდგომ ნომრებში.



ᲩᲔᲛᲝ ᲜᲐᲗᲔᲚᲝ ᲓᲛᲐᲝ!

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ერთ-ერთი გამორჩეული თავკაცი იყავი, გამორჩეული გონებით, ინტელექტით, კეთილშობილებით, ენერგიით, გარეგნობით... როგორ გვიხაროდა, რომ იმ დიდებულ გვარს ეკუთვნოდი, ვის სახელსაც ჩვენი საზოგადოება ატარებს. თავგადადებული ემსახურებოდი დიდი ილიას იდეალებს. გვხიბლავდა ყველას შენი სიტყვა, შემართება, თავშეკავება, ოპტიმიზმი... არაკეთილმოსურნეებმა არაერთი სულიერი ტკივილი მოგვაყენეს. შენ კი ვატკაცურად იტანდი, იცოდი, რომ ხალხის შეცდომაში შეყვანა საბოლოოდ შეუძლებელია, - სიმართლის დიდი ძალისა გჯეროდა, ჩემო ზურა!

როგორ გიხაროდა სიცოცხლე!.. დარწმუნებული იყავი, რომ მალე ერთმანეთს მივულოცავდით საქართველოს განთავისუფლებას. ეს ასეც მოხდება, მაგრამ ვაი რომ უშენოდ...

მშვიდობით, ჩემო ნათელო ძმაო!

ჯუმბერ კოპალიანი

• • •

ემიგრაციაში მყოფმა ქართველებმა უდიდესი მწუხარებით შევიტყვეთ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ღირსეული წარმომადგენლის, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრის ზ ურ ა ბ ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს გარდაცვალება.

მიიღეთ ჩვენი სამძიმარი. მამულს მოწყვეტილი ქართველები ვლოცულობთ მისი ნათელი სულისათვის.

მიხეილ ქავთარაძე
ჯანრი კაშია
ზაქარია ღამქარაშვილი

ᲒᲚᲝᲕᲝᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

რამდენი უბედურება მოგვიტანა ამ წელმა, რამდენი საყვარელი და ახლობელი ადამიანი წაგვართვა. ვევედრებოდით ღმერთს - ეცმარებინა მსხვერპლი, აღარ წაერთმია ჩვენთვის ახლობლები, მაგრამ არა!..

დიდი რწმენა გვქონდა, რომ გადარჩებოდი, - ჩვენი და საქართველოს სიყვარული გადაგვარჩენდა. მაგრამ ვაი, რომ სწორედ მაშინ გვიმუხთა ბედმა, როცა განსაცდელი გადატანილი გვეგონა.

მახსენდება შარშან, 3 დეკემბერს სოხუმში გამართული მეგობრობის მიტინგი... როგორი გაჭირვებით ჩამოაღწიე სოხუმამდე, შენი ღამაზი, აზრიანი სიტყვა გვითხარი. მშობლიურ ენაზეც კი მიმართე აფხაზებს, მეგობრობა და ძმობა გსურდა მათთან. გვახსოვს მერაბის იმედიანი სიტყვებიც: "ჩვენ მაინც ვიპოვით გზას აფხაზი ხალხის გულებისკენო". ამ იმედით ვიყავით და ვიქნებით მუდამ.

ძნელია შეეგუო იმ აზრს, რომ შენ აღარ ჩამოხვალ ჩვენთან, აღარ მოგვინახულებ. ყველას უყვარდი, ყველა პატივს გცემდა, როგორი კაცი იყავი მაინც - ინტელიგენტი, ჭკვიანი, ფიქრიანი, გაბედული...

გლოვობს საქართველო, ზურაბ...

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის განყოფილების სახელით

ნანა შანავა

ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲘᲐ ᲛᲨᲝᲒᲚᲘᲣᲠᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ.

"ნეტარ არს, რომელმან ჭამოს პური სასუფეველსა ღმრთისასა!" - ბრძანებს სახარება, და ნეტარ ხარ შენც - ზურაბ, რამეთუ ღმერთმა აქ, წმინდა ილია მართლის სამშობლოში, შენს საგვარეულო ეკლესიაში, მოგიჩინა ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი საუკუნო ძვალშესაღაგად და იქაც, ალაქმულ სასუფეველშიც, განგიმზადა ადგილი, რამეთუ ღირსეულად ჩააბარე გამოცდა ამქვეყნიური ცხოვრებისა და მოგეცა უფლება ქრისტესთან მარადის ყოფნისა და მასთან ერთად პურის ჭამისა.

ღმერთმა გამოგარჩია შენ კეთილშობილებისათვის, მაღალი სულიერებისათვის, გონიერებისათვის. ღმერთსაც ხომ რჩეული უნდა თავისთან.

როგორც ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილი, შენც საქართველოსათვის ილწვოდი და ფიქრობდი, მის თავისუფლებას ნატრობდი. შენი ფიქრის, ლწვის და ნატვრის ასრულებას გაუმარჯოს, ზურაბ!

უბრალო, თავაზიანი და ყურადღებიანი იყავი ადამიანებთან. შეგეძლო მრავალჯერ გაგეცა სიცეთე და არასოდეს ელოდი სამაგიეროს.

მაღლიერია მშობლიური ეკლესიაც. შენი დიდი წინაპრის - დიდი ნიკოს მიერ ამ საუკუნის წინათ აგებულს, შენ დაუბრუნე და მიანიჭე მეორე სიცოცხლე. დღეს იგი ღირსეულად გხვდება, გამშვენებული, აღბათ წინასწარ თუ გრძნობდა, რომ ღვიძლი შვილი უნდა დაბრუნებოდა...

შენი საუკუნო ხსენებისათვის აქ ყოველთვის დაინთება სანთლები და ვილოცებთ შენზე. შენც ილოცე იქ თავისუფალი საქართველოსათვის, ჩვენთვის ილოცე, ზურაბ!

მშვიდობით, ღმერთთანაც და კაცთანაც **წილნაყარო, სამშობლოს სიყვარულში დალილო ძმაო.**

ბეჟან ჩიხორლიშვილი

ქ. თბილისის სასულიერო სემინარიის მეორე კურსის სტუდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენს საწერ მაგიდაზე სანთელი ანთია

ზურა...

შენს საწერ მაგიდაზე ახლა სანთელი ანთია... იქვე კედელზე შენი გადიდებული სურათი ჰკიდია.

ჩვენ თავზარდაცემულნი და გაოგნებულნი ცრემლიანი თვალებით შევჩერებივართ ერთმანეთს და ყველა ერთსა და იგივეს ვიმეორებთ: აკი ყველაფერი კარგად იყო, აკი გადარჩა და სათუო აღარაფერიაო... შაბათს გაყვითდაო, ექიმებს უთქვამთ, ბოტკინია, მაგრამ ნუ შეგეშინდებათ, ორ-სამ დღეში გაუვლისო. მაგრამ...

ზურა... ძნელია წარმოიდგინო და დაიჯერო, რომ აღარასოდეს მოხვალ ჩვენთან, აღარ შემოაღებ შენი რედაქციის კარს და აღარ იკითხავ: ხომ არავის დავჭირვებივარო?

არადა ბევრნი გეძებდნენ, ბევრს სჭირდებოდი. შენც ყველგან იყავი, პირველი გაჩნდებოდი ხოლმე საშველად.

ეკლესიების ამოქმედებაზე ზრუნავდი დღენიადაგ. ყოველი ამოქმედებული ეკლესია დღესასწაული იყო შენთვის.

მაგალითის ძაღა გქონდა... მახსოვს, ჩემი სტუდენტობისას ხმა გავარდა ქაღაქში, ზურა ჭავჭავაძე სტიხარით შეიმოსაო. მერე სიონს მოაწყდა ხალხი, შენს კითხვაში იყვნენ, რომელია ზურა ჭავჭავაძე, რომელია ნიკოს ბიჭიო... მაშინ უწმინდესისა და უნეტარესის იღია II-ის კურთხევის შემდეგ ქართული ეროვნული სულის აღზევებაში შენც გედო წილი, ასე მგონია მე...

ივ საბედისწერო ავტოკატასტროფამდე სამი დღით ადრე შმაგი დაკრძალეთ დოღიძე, გამორჩეულად რომ უყვარდით შენ და მერაბი, "კნიაზს" რომ გეძახდა სიყვარულით...

შენს საწერ მაგიდაზე სანთელი ანთია ახლა... შენც ხომ სანთელივით იწვოდი საქართველოსათვის, ზურა!

სოფიკო გაიხარაშვილი

ივინე მშვიდად, ზურა!

მაშინ, როდესაც ყველანი დღე-დღეზე ველოდით შენს გამოჯანმრთელებას და ფეხზე დადგომას, უბედურების მაუწყებელი ამბავი მოვიდა ქუთაისში.

ზურაბ ჭავჭავაძე გარდაიცვალაო, - მეხივით გავარდა მწერალთა კავშირის სააქტო დარბაზში, სადაც იმ დროს ვიყავით შეკრებილნი. არ დავიჯერეთ (არ გვსურდა დაჯერება), ვიდრე ოფიციალურმა წყაროებმა არ გვაუწყეს.

გველის წელიწადმა ისევ (მერამდენედ!) ავად გაიკღაკნა საქართველოს ცის კაბადონზე.

არ ვიცი, როგორ გამოჯემშვიდობო და რა გავიხსენო, ზურა.

იმ ავბედითი შემთხვევის წინაღამე ხომ ერთად გავატარეთ ჩემს სახლში. დიდხანს, განთიადამდე საუბრობდი სამომავლო საქმეებზე, რომლებიც უამრავი გქონდა ჩაფიქრებული. ვაი, რომ მხოლოდ ჩაფიქრებული... შიგადაშიგ პირადულზეც ვყვებოდით და ვიხსენებდით იუმორით. მითხარი: "შენს ქორწილში თუ თამადად დამაყენებ, მთელ იმერეთს დაგითრობო," და გაიცინე შენებურად, ვატკაცურად, თან დააყოლე: "ქუთაისი საოცრად მიყვარსო".

შენც ბევრს უყვარდი ქუთაისში, გნატრობდნენ, ყველა შეკრებაზე და მიტინგზე მეკითხებოდნენ: "ზურა თუ ჩამოვაო."

შენი სურათი კედელზე, საწოლის ზემოთ დავკიდე. იმ საწოლზე გეძინა შენ 13 ოქტომბრის ღამეს.

აწ კი მჯრადიულ ძილში გადადიხარ! იძინე მშვიდად, ზურა!

გიზო თავაძე

ვერ გიმეტებდი თავისუფლების ციხე-სიმაგრეში ჩასაკირავად

კვლავ გაუჭირდა საქართველოს, - გამოაკლდა ადამიანი, რომელსაც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში დემოკრატიული, ჰუმანური პრინციპების დასამკვიდრებლად უდიდესი წვლილის შეტანა შეეძლო.

ზნეობის ტოტალური დეფიციტის პირობებში მორალური კრიტერიუმების დამკვიდრებისათვის ბრძოლა საჩინო ადგილს დაუმკვიდრებს ზურაბს ჩვენი ეროვნული მოძრაობის ისტორიაში.

ჩემო ზურა! შენმა ინტელიგენტობამ, შენმა დიდმა ღირსებებმა კვლავ იმედით განმაწყო ეროვნული მოძრაობისადმი. იმედი გამიჩნდა, რომ ხანგრძლივი და მომქანცველი ბრძოლა დემოკრატიულ საქართველომდე მიგვიყვანდა. ვერ გიმეტებდი თავისუფლების ციხე-სიმაგრის საძირკველში ჩასაკირავად... ახლა ისღა დამრჩენია, შეუპოვრობა და სიმტკიცე ვისურვო შენი.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ბათუმის განყოფილების სახელით

დათო ბერძენიშვილი



"ნეტარ იყვნეთ თქვენ, რაჟამს გდევნიდენ და გყვედრიდენ, და სთქვან ყოველი სიტყვა ბოროტი თქვენდა მომართ სიცრუით ჩემთვის: გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქვენი დიდარს ცათა შინა."

მათე 5,11

ბოვიდოგით, ზურა!

წარმოუდგენელია შენთან განშორება და გაუაზრებელი შენი დანაკლისი... თითქოს გუშინ იყო ყოველივე... 9 აპრილსაც ერთად ვიყავით..."

ბორიას შემდეგ ყოველ დღეს იმედითა და სასოებით შევცქეროდით, ღვთის ნებას მინდობილნი... იმედი, იმედი არა გვტოვებდა, რომ შენ კვლავ ჩვენთან იქნებოდი, სამშობლოსათვის კვლავ იბრძოლებდი და მის თავისუფლებას შენს ღვთიურ ნიჭს მოახმარდი...

სანთელი ადრე დაიწვა, საუბედურო...

ძნელია შეაჯასო შენი ნაღვაწი და გაცილებით ძნელი გამოხატო იგი... საქართველოსთვის თავდადებულს მისი ნათელი მომავალი გასულდგმულებდა... რაინდი იყავ და ზნეობისთვის არ გიღალატია. სხვანაირად არც შეგეძლო... წმინდა და სპეტაკი იყავი ბრძოლაშიც და მეგობრობაშიც... სამშობლოს დამოუკიდებლობა მის სულიერ ამაღლებასთან ერთად გესახებოდა. ქრისტიანული ზნეობით უდგებოდი ამ მომავლისკენ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს...შენში განხორციელებული მარადიდებლური მორალი და თანდაყოლილი ინტელექტი ბრძოლაში ჰპოვებდა განსხეულებას...შეუძლებელიც შეგეძლო: ცხუმსა და ცხინვალში მრავალჯერ დაამტკიცე ეს. თავგზააბნეულ აფხაზებსა და ოსებს მოყვასის სიყვარულისკენ მოუწოდებდი, ძმათა სისხლისღვრას არიდებდი. დიდი ილიას ანდერძისაებრ არ გიღალატია - ერის მომავალი კავკასიურ ერთობაში გესახებოდა. ბევრი რამ გააკეთე...როგორ ასწრებდი? უფრო მეტი ვერ მოასწარი, ადრე დაგცალდა... მერაბთან ერთად დარჩა შენი გლვის ზარმაც. ორნი აღესრულნეთ...

"და მივსცე ორთა მათ მოწამეთა ჩემთა, და წინაისწარმეტყველებდენ ათას ორას და სამეოც დღე, შემოსილნი ძაძითა. ესენი არიან ორნი იგი ზეთისხილნი და ორნი სასანთლენი, მდგომარენი წინაშე უფლისა ყოვლისა ქუეყანისასა." (გამოცხადება იოანესი, 11.3-4).

ა მ ი ნ !

გურამ ნარსიძე

ნათელი, მოცინარი, მართალი

ზურას სიცოცხლეც წაიყოლა თან ამ დაწყევლილმა წელიწადმა. ზურას მოულოდ სხეულსაც მოერია სიკვდილი. რამხელა სიკეთე, სილამაზე და ხალისი მოაკლდა ჩვენს ცხოვრებას! რამდენს დაგვრჩა მისთვის გადასახდელი სიყვარულის ვალი! რამდენმა ვერ დავუბრუნეთ უმცირესი ნაწილიც კი იმ სითბოსი, რომელიც მან ჩვენდამი გაილო!

ახლაც მიდგას თვალწინ ღამაზი წვერით პირდამშვენებული ახოვანი ვაჟკაცი. ნათელი, მოცინარი, მართალი. მართალი და ამ სიმართლისათვის უსამართლოდ გვემული, შურაცხყოფილი, გულნატკენი.

ზურას სიმართლეს დრო დაამტკიცებს, ზურას სახელს ერი უკვდავყოფს, ხოლ მისი საქმე კი ჩვენ უნდა განვაგრძოთ ყველამ. ზურას შემცვლელი არ დაიბადება, ზურას მაგივრობას ვერავინ გაგვიწევს. ჩვენ კი, ახალგაზრდებს, - მე, პაატას, ნოდარს, მიშას, ზაქროს, ყველა დანარჩენს - უამრავის გაღება მოგვიწევს, რათა იქ მაინც მიუვიდეს ზურას ის სიყვარული და პატივისცემა, რაც საქართველოთ დავაკელით.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ახალგაზრდობის ჯგუფის სახელით

ლადი ღვალაძე

ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებერმა მწუხარებით იუწყება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ღირსეული წარმომადგენლის

ზ ურ ა ბ ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

რედაქტორის მაგიერ: კახაბერ კახაძე

სარედაქციო კოლეგია: ანზორ აბჟანდაძე, გუმა აფაქიძე, იოსებ ბანძელაძე, თამარ ჩხეიძე

საზოგადოების დროებითი მისამართი: ლუნაჩარსკის 2, III სართ. ტ. 93-39-32